



საქართველოს მთავრობის დადგენილება

№390 2021 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი

**„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის
№828 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2020, 470000000.10.003.022551) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ №2 დანართის („იმუნიზაცია“) მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ა) უნდა წარმოადგენდეს შემდეგი დაწესებულებებიდან ერთ-ერთს:

ე.ა.ა) სამედიცინო სტაციონარულ დაწესებულებას, ამასთან, უფლებამოსილია, სერვისის მიმწოდებლად გამოიყენოს

იმავე/ახლომდებარე ტერიტორიულ არეალზე მყოფი ამბულატორიული დაწესებულების სივრცე;

ე.ა.ბ) „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო ამბულატორიულ დაწესებულებას – საოჯახო მედიცინის ცენტრს, პოლიკლინიკას, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრს;

ე.ა.გ) „COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 3 თებერვლის №01-11/ნ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის 4¹ მუხლით განსაზღვრულ „COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის ცენტრს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი